



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: კომერციული ბანკის დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.  
ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად**

**სტუდენტი:**

**გვანცა სიჭინავა**

**ნაშრომის ხელმძღვანელი:**

**პროფესორი**

**რომან**

**შენგელია**

**თბილისი**

## შინაარსი

ანოტაცია (ქართულად) -----	გვ.3
ანოტაცია (ინგლისურად) _____	გვ.4
შესავალი -----	
გვ.5	
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა _____	გვ.7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი _____	გვ.9
2.1 კომერციული ბანკის არსი და მნიშვნელობა _____	გვ.9
2.2 კომერციული ბანკის დაფუძნება _____	გვ.10
2.2.1. კომერციული ბანკის რეგისტრაცია _____	გვ.11
2.2.2 კომერციული ბანკის ლიცენზირება _____	გვ.15
2.3 კომერციული ბანკის რეორგანიზაცია _____	გვ.26
2.4 კომერციული ბანკის ლიკვიდაცია _____	გვ.28
დასკვნა (კვლევის შედეგი) _____	გვ.53
გამოყენებული ლიტერატურა _____	გვ.56

## ანოტაცია

დღევანდელ რეალობაში კომერციული ბანკები ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ითვლება. მათ ერთნაირად მნიშვნელოვანი როლი უკავიათ როგორც ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში ასევე ინდუსტრიისა და ვაჭრობის განვითარებაში. კომერციული ბანკი ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი ერთეულია. მისი საქმიანობის არეალი ფართოა და უამრავ ოპერაციასა და ფუნქციას მოიცავს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარდა კომერციული ბანკის ფულთან დაკავშირებული ფუნქციებისა იგი ასევე ერთ ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი ინსტიტუტია ქვეყნის შიგნით. ქვეყანა რომელსაც ძლიერი და მყარად მდომი კომერციული ბანკები გააჩნია იშვიათად თუ დადგება ეკონომიკური კრიზისის წინაშე.

კომერციული ბანკების რაოდენობის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო იმატებს ჩვენს ქვეყანაში მათი როლი და მიმართვიანობა, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისა. სწორედ ამიტომ საჭირო ხდება მასთან დაკავშირებული არსებული რეგულაციების დახვეწა და დღევანდელ რეალობასთან თანხვედრაში მოყვანა, ახალი რეგულაციები დღითიდღე უფრო მეტად სანდოს ხდის ამ ინსტიტუტს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის, თუმცა ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილი მოდელისგან, სწორედ ამიტომ საჭიროა ჩატარდეს უამრავი კვლევა და უფრო და უფრო დაიხვეწოს ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ფუნქცია მოვალეობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ნორმები, რათა საზოგადოებისათვის კომერციული ბანკი როგორც ქვეყნის ყველაზე სანდო ერთეულად ჩამოყალიბდეს.

## **Annotation**

In today's reality commercial banks are considered an integral part of the economy and society. They have played an important role in developing the economy as well as the development of industry and trade. Commercial bank is the main unit of cash circulation. The area of its activities is wide and includes a lot of operations and functions. It is also an indication that besides the commercial bank's functions related to money, it is also one of the largest employers in the country. The country which has strong and strong commercial banks rarely faces economic crisis.

With the increase in the number of commercial banks, their role and appeal in our country are increasingly increasing both physical and legal entities. That's why it is necessary to improve the existing regulations and bring it to the present reality, the new regulations are more convincing about this institution for the country and the society, but still far from the perfect model, so it is necessary to conduct a lot of research and more and more to improve this important institution. The function of the juty is the obligatory and regulatory norms in order to form a commercial bank as the country's most reliable entity.

## შესავალი

კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირია რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით, თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომერციული ბანკი ფუნქციონირების სამართლებრივი სტატუსი გახლავთ სააქციო საზოგადოება, სწორედ ამიტომ, კომერციული ბანკების რეგულირება ხდება როგორც „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

დღეს საქართველოში რეგისტრირებული 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრია მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა.

**თემის აქტუალობა :** კომერციული ბანკი მისი წარმოშობის დღიდან მსოფლიოში წამყვანი საფინანსო და ეკონომიკური რგოლია, საქართველოში დღეს აქტიურდ

დგას კომერციული ბანკების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები, საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრია მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება. ბანკის ჩამოყალიბებასა და მისი საქმიანობის განხორციელების ეტაპის უმთავრეს და პირველ საფეხურს მისი დაფუძნება და ლიცენზირება წარმოადგენს ხოლო შემდგომ ეტაპებს ხშირ შემთხვევაში მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია მოიცავს, კომერციული ბანკის სრულყოფილ საქმიანობის განხორციელებას, ხელს უწყობს მისი სამართლებრივად სწორი რეგულირება და ზედამხედველობა.

**დასახული მიზანი** : ნაშრომის მიზანია გამოკვლევულ იქნას კომერციული ბანკის შექმნის მისი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს კომერციულ ბანკზე მოქმედი კანონმდებლობის გავლენა, რეგულაციები და საკვანძო საკითხები, შესწავლილ იქნას ის წყაროები და ნორმატიული აქტები რომლებიც ეხება კომერციული ბანკების საქმიანობის განხორციელების ზედამხედველობას და რეგულირებას.

**ამოცანა**: ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს იმ პრობლემური საკითხებისა და ხარვეზების გამოვლენა რომელიც წარმოიშობა კომერციული ბანკების დაფუძნების მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესში.

**კვლევის მეთოდები** : ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდის ძირითადი ნაწილი საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და სამეცნიერო ნაშრომების კვლევისა და შესწავლას მოიცავს. ასევე განხილულია ნორმატიული აქტები და მათზე დაყრდნობით კეთდება ლოგიკური ანალიზი საკვლევ პრობლემემატიკასთან დაკავშირებით.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურას ძირითადად წარმოადგენს საქართველოს საბანკო სამართალში არსებული და მისთვის შექმნილი სახელმძღვანელოები და საბანკო სამართლის ნორმატიული აქტები, კანონები და კოდექსები, კერძოდ ესენი გახლავთ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ბრძანება „კომერციული ბანკების ლიზენზირების წესის დამტკიცების თაობაზე“, და „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე გამოყენებული ლიტერატურაში დეტალურად და სრულად არის აღწერილი საბანკო სამართლის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის კომერციული ბანკები.

კომერციული ბანკი სამოქალაქო სამართლის ისეთივე სუბიექტია, როგორც ნებისმიერი დაფუძნებული და შექმნილი იურუდიული პირი, იგი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, შესაბამისად მისი განხილვის დროს აუცილებელია გამოყენებულ იქნას როგორც „კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ასევე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „კანონი მეწარმეთა შესახებ“.

ზვიად გაბიზონიას , საბანკო სამართლის სახელმძღვანელოში დეტალურად აქვს განმარტებული საბანკო სამართლისა და კომერციული ბანკების როლი ქვეყნის განვითარებასა და ფორმირებაში , მისი თქმით, და არა მხოლოდ, საბანკო სამართლის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტს სწორედ კომერციული ბანკები წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ კომერციულ ბანკებზე არაერთი შეზღუდვა მოქმედებს, მიზეზად კი ასახელებს იმას, რომ , კომერციული ბანკების საქმიანობის თავისუფლებამ შესაძლოა უმძიმესი შედეგები მოუტანოს , არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ნებისმიერი მოქალაქის ფინანსურ მდგომარეობას.

რომან შენგელია და ეკატერინე შენგელიას წიგნშიც თვალნათლად არის გამოცემული კომერციული ბანკების როლი და მოქმედების არეალი. როგორც სხვა ნაშრომებში აქაც ნათქვამია, რომ კომერციული ბანკი ქვეყნის მთავარი საკრედიტო დაწესებულებაა, საბანკო სისტემაში ორ იარუსიანი სტრუქტურა მოქმედებს რომლის პირველ ადგილსაც ცენტრალური ბანკი ხოლო მერეს კომერციული ბანკები იკავებენ. ისინი უფრო ადრე წარმოიშვნენ ვიდრე ცენტრალური ბანკები. სამართლებრივად ისინი დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ , თუმცა საბანკო ურთიერთობების განვითარებამ თანდათან შეზღუდა კომერციული ბანკების თავისუფლება.

კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ აქტს წარმოადგენს „კომერციული ბანკების სამიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 1993 წლის 23 თებერვალს იქნა მიღებული და დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა. კანონი შედგება 8 თავისაგან და მოიცავს სრულად , კომერციული ბანკების რეგულირების ყველა ნიუანსს, მათ შორის მისი ლიცენზირების და ლიკვიდაციისა.

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკი იქმნება როგორც სააქციო საზოგადოება და არის იურიდიული პირი, სპეციალურ კანონებთან ერთად ასევე აღსანიშნავია მისი სამართლებრივი რეგულირებისას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებაც, კერძოდ იურიდიული პირის შექმნის რეგისტრაციისა და ამ იურიდიული პირის სტრუქტურის განსაზღვრისას, კერძოდ



კომერციული ბანკის შემთხვევაში გამოიყენება კანონის მეოთხე თავი რომელიც შეიცავს სააქციო საზოგადოების განმარტებას მის არსს, მმართველობის ორგანოების სავალდებულო სახეებს მათ უფლებამოსილებას და ყველა იმ საჭირო საკითხს, რომელიც სააქციო საზოგადოებისათვის არის საჭირო.

კომერციული ბანკის ლიცენზირების საკითხზე არსებებს ბრძანება „კომერციული ბანკების ლიზენზირების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც პირდაპირ აღგენს წესს თუ როგორ უნდა მოხდეს კომერციული ბანკისათვის ლიცენზიის მინიჭება , რა პროცედურები უნდა გაიაროს ბანკმა ამისთვის და რა რეკვიზიტებია საჭირო, ბრძანება მიღებულია 2014 წლის 17 ივნისს და შედგება 4 მუხლისაგან.

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ №46/04 ბრძანება, მიღებულია 2018 წლის 16 მარტს და შედგება 4 მუხლიდაგან, ასევე იმავე წლის 19 ოქტომბერ მიღებულია ბრძანება ამ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. სწორედ ამ ბრძანებებშია დამტკიცებული კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი და განსახორციელებელ მოქმედებათა ჩამონათვალი.

## **თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი**

### **2.1 კომერციული ბანკის არსი და მნიშვნელობა**

კომერციული ბანკი ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც გაცვლის სფეროში მოქმედებს. ბანკების საქმიანობა მრავლის მომცველია. იგი საქონლის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით „ყიდულობს“ რესურსებს და „ყიდის“ მათ. ბანკი, თავისი „საქონლის (კრედიტის) გაყიდვით“, გასესხებული თანხის მესაკუთრე გამოდის და მისი დაბრუნებისას იგი არა მარტო სანცის ღირებულებას, არამედ სასესხო პროცენტის სახით მასზე დანამატსაც ღებულობს. საგადასახადო ბრუნვის ზრდის შესაბამისად, ბანკის როგორც საანგარიშსწორებო ცენტრის როლიც მალღდება. ბანკები, როგორც მსხვილი, ასევე მცირე დანაზოგების მობილიზებით, ფულადი კაპიტალის დაგროვების ბაზას აფართოებენ და მიღებულ სახსრებს ინვესტიციებისა და კრედიტების სისტემის მეშვეობით ეკონომიკის განვითარებაში აბანდებენ. ბანკი ბირჟის აგენტის სახითაც

საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სადაც იგი ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე თავის უფლების რეალიზებას ახორციელებს.

ბანკი სანარმოებს დანესებულებებსა და ცალკეულ პირებს შორის ახორციელებს საშუამავლო ფუნქციას საგადამხდელო და საანგარიშო ოპერაციების შესრულებისას<sup>1</sup>.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან განმასხვავებელი მახასიათებელი ნიშანია საკრედიტო ფულის შექმნის და განადგურების უნარი. იგი ხორციელდება ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან ერთად საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით. კომერციული ბანკის შესაძლებლობას - „შექმნას ფული“ – დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის. ის რეალიზდება მოქნილ საკრედიტო სისტემაში, რომელიც ეკონომიკის შედარებით მყარი ზრდის ტემპის აუცილებელი პირობაა<sup>1</sup>.

---

1. აღმანახი“ ცოფურაშვილი მ. კომერციული ბანკი - ფუნქციები და მნიშვნელობა.თბილისი, 1999.წ ,

გვ 39

2. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე , ელექტრონული ვერსია, თბილისი, 2009 წ.

გვ.53.

## 2.2. კომერციული ბანკის დაფუძნება

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე\_2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „კომერციული ბანკი“ შეიძლება დაფუძნდეს სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. ეს იმას ნიშნავს რომ ბანკი შესაძლოა იყოს მხოლოდ სააქციო საზოგადოება და არა რომელიმე სხვა ფორმა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2002 წლამდე შესაძლებელი იყო „კომერციული ბანკის“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით დაარსებაც. გამომდინარე იქიდან, რომ სააქციო საზოგადოებები დიდი კაპიტალის მობილიზებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა სწორედ ამიტომ შეირჩა კომერციული ბანკის დასაფუძნებლად აღნიშნული სამართლებრივი ფორმა.

სააქციო საზოგადოება ძირითადად ორი გზით იქმნება, ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებით ან ძველის რეორგანიზაციით. მისი დაფუძნება ხდება როგორც ერთი პირის ასევე რამდენიმე პირის მიერ, რამდენიმე პირის მიერ სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას ტარდება დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელზეც მტკიცდება წესდება, მიიღება გადანაწევრილება საზოგადოების დაფუძნების შესახებ. განისაზღვრება სანესდებო კაპიტალის ოდენობა, აქციათა განაწილების წესი და აქციონერთა უფლება-მოვალეობები. თუმცა სააქციო საზოგადოების შექმნის პროცესი მხოლოდ ამით არ მთავრდება, მთავარია შემდგომ მისი სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაციის გარეშე საზოგადოება დაფუძნებულად და იურიდიულ პირად არ ითვლება<sup>1</sup>,

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2008 წლამდე „მენარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით სააქციო საზოგადოების შესაქმნელად აღარ მოითხოვება მინიმალური კაპიტალის ქონა, შესაბამისად შესაძლებელი გახდა სააქციო საზოგადოების შექმნა 1 ლარის კაპიტალითაც, თუმცა ამის მიუხედავად კომერციული ბანკების მიმართ ეს წინადადება არ მოქმედებს რაც გულისხმობს იმას, რომ კომერციული ბანკის დაფუძნებისათვის სავალდებულო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 12 მილიონი ლარით<sup>2</sup>

---

1. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014წ. გვ.149

2. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012წ. გვ.84

სანესდებო კაპიტალი კომერციული ბანკებისათვის დროდადრო იზრდებოდა, მისი ზრდის გრაფი კი ასე გამოიყურებოდა

- 1998 წლის 31 დეკემბრამდე-1 მილიონი ლარის მოცულობით
- 1999 წლის 30 ივნისამდე-2 მილიონი ლარის მოცულობით
- 1999 წლის 31 დეკემბრამდე - 3 მილიონი ლარის მოცულობით
- 2000 წლის 30 ივნისამდე- 4 მილიონი ლარის მოცულობით
- 2000 წლის 31 დეკემბრამდე-5 მილიონი ლარის მოცულობით

2003 წლის 23 დეკემბრის N297 ბრძანების - „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ თანახმად კაპიტალის მინიმალური ოდენობა 12 მილიონი ლარით განისაზღვრა.

### 2.2.1. კომერციული ბანკის რეგისტრაცია

კომერციული ბანკი სანამ იგი სრულფასოვანი წევრი გახდება საბანკო სექტორის გადის შექმნისათვის აუცილებელ რამოდენიმე ეტაპს, პირველი მათგანი გახლავთ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ მისი როგორც „სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია“. სანამ უშუალოდ რეგისტრაციის ფორმასა და საჭირო დოკუმენტებზე გადავიდოდეთ აუცილებელია გავიხსენოთ სააქციო საზოგადოების განმარტება,

1. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა

მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.<sup>1</sup>

---

1 .საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (14.05.2019) მუხლი 51.

სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით.

აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

3. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმოსი, რომლის აქციათა რეესტრს უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

4. სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრი ინარმოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული შესაბამისი წესების მიხედვით<sup>5</sup>.

სანარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს სანარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ა) სანარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;
- ბ) სანარმოს სამართლებრივი ფორმა;
- გ) სანარმოს იურიდიული მისამართი;
- დ) სანარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული <sup>1</sup>

---

1. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (14.05.2019) მუხლი 51.

პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 1 მთელს;

სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია, – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

მ) ელექტრონული ფოსტის მისამართი და ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართი, რომლებზე მიღებული გზავნილიც ჩაბარებულად ჩაითვლება.

11 . თუ საწარმოს პარტნიორის, საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), წილის მმართველის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი განსხვავდება მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართისაგან, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითება სავალდებულოა.

12 . საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) დანიშვნისთვის/რეგისტრაციისთვის სარეგისტრაციო დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს ამ პირის (პირების) ნება.

13 . თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით განსაზღვრული არ არის საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) უფლებამოსილების ვადა, იგი ითვლება შეუზღუდავად. თუ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ მოხდება უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პირის (პირების) უფლებამოსილების ვადა ითვლება უვადოდ გაგრძელებულად.

2. პარტნიორებს უფლება აქვთ, რეესტრში მიუთითონ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი და მისი უფლებამოსილების ფარგლები, მათ შორის, იზღუდება თუ არა ამ კანონის 51 მუხლით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილ პირთა უფლებამოსილება, განახორციელონ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება. სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

3. სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ ან იგი დადგენილი წესით დამოწმებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელმოწერის დამოწმების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

4. თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

5. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

6. საწარმოს რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება

### 2.2.2 კომერციული ბანკის ლიცენზირება

მას შემდეგ რაც ძალაში შევა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ და მოხდება მისი მხარისათვის გაცნობა საჭირო ხდება სააქციო საზოგადოების, როგორც „კომერციული ბანკის“ ლიცენზირება, რადგან სწორედ ლიცენზიის



საფუძველზეა შესაძლებელი კომერციული ბანკისათვის დასაშვები ოპერაციების განხორციელება.

„კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით , არავის არ აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო ლიცენზიის გარეშე. გარდა იმ შემთხვევებისა როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როცა კონტექსტიდან , რომელშიც გამოიყენებულია ტერმინი „ბანკი“ ჩანს, რომ იგი არ აწარმოებს ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.(გაბისონია გვ82)

ლიცენზიის მისაღებად სააქციო საზოგადოება შუამდგომლობით მიმართავს ეროვნულ ბანკს.

ლიცენზირების პროცესის საკვანძო საკითხს წარმოადგენს შესაქმნელი საკრედიტო დაწესებულების შესახებ შემდეგი სახის ასპექტებთან მიმართებაში ინფორმაციის ანალიზი :ნბანკის ძირითადი აქციონერების შემადგენლობა, ინვესტირებული კაპიტალის საწყისი წყაროები, ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა, განსახორციელებელი ოპერაციების წრე და ბანკის სტრატეგია, საბანკო აქტივების მათი საბაზრო ღირებულებით შეფასების სისწორე, შესაძლო დავალიანების წარმოშობის შემთხვევისათვის რეზერვების შექმნის პოლიტიკა და ა.შ.<sup>1</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო ლიცენზიას გასცემს მხოლოდ დადგენილი წესითრეგისტრირებული იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა განცხადებული და განაღდებული კაპიტალის ოდენობა, დაკავებული სასამსახურო ფართი, ბანკის ადმინისტრაციისა და მმართველობის მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე, წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა და შინაგანაწესი შეესაბამება აღნიშნული წესებით გათვალისწინებულ და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასებათა კრიტერიუმებსა და საქმიანობას<sup>2</sup>.

კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ლიცენზიის თანახმად უფლება ეძლევა აწარმოოს საბანკო ოპერაციები როგორც საქართველოში ასევე

მის საზღვრებს გარეთ. საბანკო ლიცენზიის გაცემა ხდება განუსაზღვრელი ვადით და დაუშვებელია მისი სზვა პირზე გადაცემა.

---

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე, გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2014 წ. გვ 141

2. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე, გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2014 წ. გვ 142

კომერციული ბანკის სალიცენზიო პირობები კანონის მეორე მუხლით ლეგულირდება და შემდეგნაირად გამოიყურება

1. დაინტერესებული იურიდიული პირი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობით მიმართავს

ეროვნულ ბანკს. წერილობითი მიმართვა წარმოდგენილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან

აქციონერების მიერ უფლებამოსილი პირის მიერ. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. წერილობით მიმართვას (გარდა უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა) თან უნდა დაერთოს შემდეგი

დოკუმენტაცია და ინფორმაცია:

ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით, აპოსტილით დამოწმებული ან/და

ლეგალიზებული ასლები;

გ) ინფორმაცია ადმინისტრატორების „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა

და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის

შესახებ;

დ) დაინტერესებული იურიდიული პირის ცნობა განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და მისი

განაღებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს განცხადებული

სანესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ.

ე) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 8

1 მუხლით გათვალისწინებული

შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის

შესახებ;

ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც

მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი;

ზ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის

მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების

შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებულად მოითხოვოს ნებისმიერი

სხვა ინფორმაცია, მათ შორის:

ა) ინფორმაცია კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, მოცემული ამ მუხლის მე-6

პუნქტის შესაბამისად;

ბ) ინფორმაცია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის

შესახებ მოცემული ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია, მოცემული ამ მუხლის მე-8 პუნქტის

შესაბამისად;

დ) კომერციული ბანკის ბიზნეს-გეგმა, მოცემული ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

4. უცხოური ბანკის ფილიალზე (გარდა უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა) და შვილობილ ბანკზე საბანკო

საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი უფლებამოსილია სათავო

დანესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოიზიდოს დეპოზიტები. ასეთ შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა

განაცხადის საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი

დოკუმენტები:

ა) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა/სარეკომენდაციო წერილი საქართველოში

ფილიალის გახსნის ან შვილობილი ბანკის დაფუძნების შესახებ, სადაც აღნიშნული ბანკია

რეგისტრირებული;

ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) სათავო ბანკის უფლებამოსილი ორგანოს სანოტარო წესით, აპოსტილით დამონმებული ან/და

ლეგალიზებული გადანაცვეტილება ფილიალის გახსნის ან შვილობილი ბანკის დაფუძნების შესახებ;

დ) აუდიტორული კომპანიის დასკვნა სათავო ბანკის ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) ინფორმაცია ადმინისტრატორების “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონისა და

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის

შესახებ;

ვ) ინფორმაცია სათავო ბანკის მიერ ფილიალისათვის ან შვილობილი ბანკისათვის გამოყოფილი რესურსის

ოდენობის შესახებ;

ზ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის

მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების

შესაბამისად;

5. ეროვნული ბანკი უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ

შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:

ა) დამფუძნებელი ბანკის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

- გ) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;
- დ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელ ბანკს, მინიჭებული რეიტინგის თანახმად, ამ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ენიჭება უცხოური სანდო ბანკის სტატუსი;
- ე) ფილიალის ადმინისტრატორების დანიშვნის აქტი;
- ვ) იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
- ზ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს მფლობელობის ყველა დონის შესახებ უშუალო აქციონერების, შუალედური მფლობელებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარების ჩათვლით. კერძოდ, ასეთი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:
- ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:
- ა.ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლი.
- ა.ბ) ინფორმაცია მოქალაქეობის და რეზიდენტობის შესახებ;
- ა.გ) დეტალური ავტობიოგრაფია;

- ა.დ) საქართველოში მიმდინარე პერიოდში ან წარსულში მოქმედ კომერციულ ბანკში წილის ოდენობა და სხვა
- ბიზნეს ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე;
- ა.ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- ა.ვ) მონაცემები ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროსა და ამ შემოსავლის წარმომავლობის შესახებ;
- ა.ზ) საგადასახადო დეკლარაცია შემოსავლების შესახებ;
- ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
  - ბ.ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები;
  - ბ.ბ) უახლესი პერიოდის (კვარტლის) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება;
  - ბ.გ) ნასამართლეობის ცნობა.
- 7. ინფორმაცია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ უნდა მოიცავდეს:
  - ა) ინფორმაციას პირის განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
  - ბ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ;
  - გ) ინფორმაციას გადახდისუნარიანობის/გადახდისუნარობის თაობაზე;
  - დ) ინფორმაციას კომერციული ბანკების წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების, მათ შორის, ვადაგადაცილებული სესხების შესახებ;
  - ე) ინფორმაციას აქციონერებთან ან პოტენციურ ადმინისტრატორებთან ნათესაური კავშირის შესახებ.
- 8. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:
  - ა) კორპორაციული მართვის დებულებას;
  - ბ) ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მენეჯმენტის სამუშაოს აღწერილობას;
  - გ) საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა რელევანტური რისკების მართვის ჩარჩოს;

დ) კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელს;

ე) ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებას ბიზნეს გეგმაში

წარმოდგენილ ბიუჯეტზე დაყრდნობით;

ვ) სააღრიცხვო პოლიტიკას.

9. ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) კომერციული ბანკის ბიზნეს სტრატეგიას;

ბ) ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის პოტენციურ გავლენას კომერციული ბანკის ბიზნეს

სტრატეგიაზე;

გ) მიზნობრივი ბაზრის აღწერასა და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას;

დ) საბიუჯეტო გეგმასა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყის ეტაპზე დასაწერ მინიმუმსა და მომდევნო საოპერაციო პერიოდში

დანერგვის გეგმას.

10. ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნას დედნების ან მათი სანოტარო

წესით, ავოსტილით დამონმებული ან/და ლეგალიზებული ასლების სახით.

11. ლიცენზირების პროცესში წარმოდგენილი უნდა იქნას იმ ჯგუფის დეტალური აღწერა, რომლის ნაწილიც

უნდა გახდეს კომერციული ბანკი ლიცენზირების შემთხვევაში. აღნიშნული ჯგუფის სტრუქტურა მისაღები

უნდა იყოს ეროვნული ბანკისათვის. კერძოდ, ჯგუფის სტრუქტურა არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ

შეიძლება შეაფერხოს მისი ზედამხედველობა. ლიცენზირებული კომერციული ბანკი უნდა შეესაბამებოდეს

აღნიშნულ მოთხოვნას მუდმივად.<sup>1</sup>



იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მოქმედებს უცხოელ პირთა განცხადებების განხილვის განსაკუთრებული წესი ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამა თუ იმ პირთა მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელება და ლიცენზირების პროცესში საკუთარი მოთხოვნები წარმოადგინოს დირექტორებისა და დამფუძნებლების კვალიფიკაციის,

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, ბიზნესგეგმისა და სხვა მოთხოვნათა შესახებ. პრაქტიკული მოსაზრებებით საბანკო ლიცენზია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მისი მოქმედების ვადების და საჭიროების შემთხვევაში გაუქმების შესახებაც. კერძოდ, თუ ახლადშექმნილი ბანკი ამჟღავნებს უუნარობას საბანკო საქმიანობის განხორციელებაში, არღვევს ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კანონებს, ან კანონქვემდებარე აქტების იგნორირების გზით ზიანს აყენებს კრედიტორებისა და მენაბრეების ინტერესებს<sup>2</sup>.

---

1 . საქართველოს კანონი, „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ (14.05.2019) მუხლი, 3.  
 2. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე , ელექტრონული ვერსია, თბილისი, 2009 წ. გვ.88.

საქართველოში დღევანდელი ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით 15 კომერციული ბანკია ლიცენზირებული რომლის ჩამონათვალიც ასე გამოიყურება.

ბანკი	გენერალური დირექტორი (ან მ/შ)	ლიცენზირების თარიღი	მისამართი
სს „თბილისი ბანკი“	ვახტანგ ბუცხრიკიძე	20.01.1993 წ., N85	0102, ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N7
სს „საქართველოს ბანკი“	არჩილ გაჩეჩილაძე	15.12.1994 წ., N86	0160, ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა
სს "ლიბერთი ბანკი" (ყოფილი სს "საქართველოს სახალხო ბანკი") (ყოფილი სს	გიორგი კალანდარიშვილი	10.02.1993 წ., N96	0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74

<i>"აგრომრეწებანი"</i>			
<b>სს "ბაზისბანი"</b>	დავით ცაავა	11.04.1993 წ., N173	0103, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N1
<b>სს "ვითიბი ბანი ჯორჯია"</b> <i>(ყოფილი "გაერთიანებული ქართული ბანი")</i>	არჩილ კონცელიძე	07.05.1995 წ., N 226-ა	0102, ქ. თბილისი, გ. ჭაბჭავაძის ქ. N14
<b>სს „ბანი ქართუ“</b>	ნატო ხაინდრავა	09,01,1997 წ., N229	0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N39ა
<b>სს „პროკრედიტ ბანი“</b> <i>(ყოფილი სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანი")</i>	ქეთევან ხუსკივაძე	13.05.1999 წ., N233	0160, ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის გამზ. N21
<b>სს „სილქ როუდ ბანი“</b> <i>(ყოფილი სს „ბითივი ბანი", ყოფილი სს "აბრეშუმის გზა", ყოფილი სს „ბტა სილქ როუდ ბანი")</i>	ალექსანდრ ე ძნელაძე	13.03.2001 წ., N238	0102, ქ. თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი N 2
<b>სს "ზირათ ბანი საქართველო"</b>	მეჰმეთ უჩარი	16.03.1998 წ., N231-1	0102, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N61
<b>სს "იმ ბანი საქართველო"</b>	ოზან გურ	30.07.2015 N368	0102,ქ. თბილისი,დავით აღმაშენებლის გამზ. N 140ბ
<b>სს "ტერაბანი"</b>	თეა ლორთქიფა ნიძე	25.01.2008 წ., N0110245	0112, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N3
<b>სს "ხალიკ ბანი საქართველო"</b>	ნიკოლოზ გეგუჩაძე	29.01.2008 წ., N0110246	0160 ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40
<b>სს "პაშა ბანი"</b>	არდა იუსუფ არკუნი	17.01.2013 წ. N 909	0108, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი,რუსთაველის გამზირი N15
<b>სს "ფინკა ბანი საქართველო"</b>	ვესალ ვერდიევი	06.08.2013 წ. N252	0181, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-3 სართული, ოფისი N3
<b>სს „კრედო ბანი“</b>	ზაალ ფირცხელავ ა	20.03.2017 N256	0108, ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 27

### 2.3. კომერციული ბანკის რეორგანიზაცია

კანონმდებლობით ზუსტად არ არის განსაზღვრული რეორგანიზაციის ცნება და შინაარსი. არ არის განსაზღვრული მისი განხორციელების პირობები. სწორედ ამიტომ საბანკო სფეროში კითხვის ნიშანს ბადებს ეს საკითხი, კონკრეტულად კი ისმის კითხვა: რეორგანიზაცია ნიშნავს დამრღვევი კომერციული ბანკის დასჯის ღონისძიებას თუ მისი საქმიანობის გაუმჯობესების საშუალებაა<sup>1</sup>.

სწორედ ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ვიხელმძღვანელოთ „მენარმეთა შესახებ კანონით“ რომელიც 14<sup>4</sup>მუხლში განგვიმარტავს სანარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და გამომდინარე ეიქიდან, რომ კომერციული ბანკი თავისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე (სააქციო საზოგადოება) ექცევა ამ კანონის მოქმედების სფეროში , ეს რეგულაციები მის მიმართ გამოიყენება, თუმცა ამ მუხლის მეორე ნაწილს კომერციული ბანკის რეორგანიზაციისთვის ვერ გამოვიყენებთ რადგან მის მიხედვით პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის სანარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის სანარმოდ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებით პარტნიორთა უფლებამოსილებები უნდა გადანაწილდეს ხელახლა, ამ სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი შემლუდვების გათვალისწინებით, ხოლო კომერციული ბანკის ფორმა ერთადერთია და სააქციო საზოგადოების გარდა ის სხვა ფორმით ვერ შეიცვლება.

სანარმოს რეორგანიზაციის სახეებია: გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება); შერწყმა (გაერთიანება, მიერთება); გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა). სანარმოები შეიძლება შეერწყან ერთმანეთს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად

საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს

---

1. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014წ. გვ.186.

(მიერთება) თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება). შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლებამოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე. საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში ადრინდელი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შეცვლას. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით. სუბიექტის რეორგანიზაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგების შესახებ. ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე. სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია. შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ

ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება. საწარმოების შერწყმა და საწარმოს გაყოფა რეგისტრირდება საწარმოს რეგისტრაციისათვის ამ კანონით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად შერწყმის/გაყოფის შედეგად წარმოშობილი სუბიექტის რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით<sup>1</sup>.

---

1. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (14.05.2019) მუხლი 14<sup>4</sup>

## 2.4. კომერციული ბანკის ლიკვიდაცია

კომერციული ბანკის ლიკვიდაცია შესაძლებელია როგორც საკუთარი გადაწყვეტილებით, ასევე ეროვნული ბანკის იძულებით, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებით. ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია ხდება ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე. იძულებითი ლიკვიდაცია ხდება კომერციული ბანკისათვის ეროვნული ბანკის ნიერ ლიცენზიის ჩმორთმევის ან სასამართლოს მიერ მისი გაკოტრებულად გამოცხადების საფუძველზე. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ბანკის, როგორც იურიდიული პირის, გაუქმება. ლიკვიდაციის პროცესი იმართება "მენარმეთა შესახებ კანონის" "გადახდისუუნარობის საქმის წაემოების" და სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად<sup>1</sup>.

კომერციული ბანკის ლიკვიდაციის საკითხი შესაძლოა განიხილოს როგორც „მენარმეთა კანონის“ ასევე „კომერციული ბანკების შესახებ კანონის“ ტრილში.

მენარმეთა შესახებ კანონისმე\_14 მუხლის მიხედვით:

1. მენარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დანყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

2. პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

3. პარტნიორთა გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება

---

1 . შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014წ. გვ 191.

მისი რეგისტრაციის მომენტიდან. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საქარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოსათვის სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაციის მინოდებას. საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საგადასახადო შემონმების ჩატარებისა და დავალიანების არსებობის ფაქტის დადასტურების ვადის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სანარმოს ლიკვიდაციის დაწყებიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო შემონმების 90-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს ორი თვისა. ამ პუნქტით განსაზღვრული რისკის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მინოდების 10-დღიანი ვადის, ასევე ამ ინფორმაციით განსაზღვრული საგადასახადო შემონმების ვადის გაშვების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სუბიექტი საგადასახადო დავალიანების არმქონეა.

1 . მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო

მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილე სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების დარეგისტრირების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება სანარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე სანარმოს პარტნიორებმა სანარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე სანარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს სანარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. სანარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

3. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა სანარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ სანარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ანდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა სანარმომ – სანარმოს ანგარიშზე. სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმო უფლებამოსილია სანარმოს ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარავად. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე ამ თანხების ან ქონების

განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან სანარმოს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება.

4. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია სანარმოს ქონების გასხვისება (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მისი რეალიზაციისა ან/და სანარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

5. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემონმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემონმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას სანარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს სანარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს და იგი სანარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

7. თუ სანარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული სანარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეკონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეკონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.



8. იმ საწარმოს ლიკვიდაციის წესს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

ასევე პარტნიორთა გადაწყვეტილების გარდა სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია შესაძლებელია გამოიწვიოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რასაც ითვალისწინებს „მენარმეთა შესახებ კანონის“ 14<sup>1</sup> მუხლი, რომლის მიხედვითაც : იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუენარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დანების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

კერძოდ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესს კი განსაზღვრავს „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი , რომლის მიხედვითაც

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება კომერციული ბანკის ლიკვიდაცია. კომერციული ბანკის ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ლიკვიდატორად ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირის დანიშვნა. ლიკვიდაციის პროცესის დანებისთანავე წყდება კომერციული ბანკის მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულება.

2. თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკი იყო საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დანყებამდე საგადახდო სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, საგადახდო სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და

ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნვიდან 3 თვის ვადაში შეადგინოს აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს. ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

4. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია კომერციული ბანკის აქტივები საჯარო აუქციონზე გაყიდოს ან ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით აირჩიოს მათი რეალიზაციის სხვა ფორმა, აგრეთვე აღნიშნულ აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს სხვა კომერციულ ბანკს და ორგანიზება გაუწიოს ამ კომერციული ბანკებისათვის ვალდებულებათა გადაცემას.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას კომერციული ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი კრედიტორი ან/და მოვალე არ განაცხადებს თანხმობას ან უარს აქტივის ან ვალდებულების სხვა კომერციული ბანკისათვის გადაცემაზე, თანხმობა ავტომატურად გაცემულად ჩაითვლება. კრედიტორის ან/და მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, თუ აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას არ იცვლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფ კომერციულ ბანკში აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ არსებული პირობები.

6. კომერციული ბანკის ლიკვიდატორს უფლება აქვს, შეწყვიტოს:

- ა) გარიგება კომერციული ბანკის თანამშრომლის დაქირავების შესახებ;
- ბ) კონტრაქტები იმ მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც კომერციული ბანკი მონაწილეობდა;
- გ) კომერციული ბანკის ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჯარისა, თუ მეიჯარეს (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ კომერციული ბანკი აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ

თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს მისი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას;

დ) კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები და ისინი იმავე პირობებით გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში. მათი გადატანისათვის საჭირო არ არის საბანკო გარანტიის ბენეფიციარის და პრინციპალის თანხმობა. ლიკვიდატორი ვალდებულია ბენეფიციარს და პრინციპალს შეატყობინოს საბანკო გარანტიების სხვა კომერციულ ბანკში გადატანის შესახებ.

7. კომერციული ბანკის დროებითი ადმინისტრატორი და ლიკვიდატორი უფლებამოსილი არიან, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადონ კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის დანიშვნამდე 1 წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შელავათით, რამაც გამოიწვია კომერციული ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.

8. კომერციული ბანკის ლიკვიდატორმა:

ა) უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა ფუნქციის შესაწყვეტად, რომლებსაც ასრულებდა დაწესებულება, დაუბრუნოს დაწესებულების, როგორც რწმუნებული პირის, კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება მათ მესაკუთრეს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

ბ) უნდა გაუგზავნოს მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ შეტყობინება კომერციული ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად ყველა მეანაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც კომერციული ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც განაგებს დაწესებულება. შეტყობინებაში აღინიშნება, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის

წარდგენა შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში, აგრეთვე ის, რომ კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება;

გ) უნდა მოსთხოვოს კომერციული ბანკის მსესხებლებს და დებიტორებს კომერციული ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში დაფარვა; კომერციული ბანკის აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, მიაღწიოს იმ მსესხებლების და სხვა დებიტორების დავალიანებების რესტრუქტურირებას (მათ შორის, პირგასამტეხლოების და ჯარიმების პატიებას), რომელთაც არა აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები დავალიანებების სრულად და ლიკვიდატორის მიერ მოთხოვნილ ვადაში დასაფარავად.

9. კომერციული ბანკის ტერიტორიაზე შენახული ქონება, რომელიც ამონაწერში მითითებულ ვადაში არ არის გამოთხოვილი, მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომლებიც კომერციულ ბანკზე ირიცხება ხელშეკრულების საფუძველზე, მოუკითხავ რესურსად ითვლება და გადადის ეროვნული ბანკის მფლობელობაში მესაკუთრის გამოვლენის მიზნით. მოუკითხავი ფულადი სახსრები ირიცხება ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე.

10. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირაოს მოგირავენს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ეროვნული ბანკი, სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც კომერციულ ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოეშვა ვალდებულება, გარდა სხვა კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდაციის პერიოდში გაცემული სესხებისა. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა, დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობით;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დეპოზიტების დამღვევის სააგენტო;

- გ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;
- დ) იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;
- ე) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;
- ვ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- ზ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- თ) იურიდიული პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
- ი) იურიდიული პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- კ) სხვა კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდაციის პერიოდში გაცემული სესხები;
- ლ) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- მ) კომერციული ბანკის მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები, გარდა ამ პუნქტის „ნ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) კომერციული ბანკის სასესხო ვალდებულება კომერციული ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ, გარდა ამ პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ო) კომერციული ბანკის ვადიანი სუბორდინირებული ვალი;

პ) კომერციული ბანკის უვადო სუბორდინირებული ვალი;

ჟ) კომერციული ბანკის სხვა ვალდებულებები კომერციული ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

11. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

12. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.

13. კომერციული ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში კომერციული ბანკის მენაბრის მიერ კუთვნილ ფულად სახსრებზე მოთხოვნის წარუდგენლობისას ასეთი ფულადი სახსრები გადაირიცხება ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე მესაკუთრის გამოვლენის მიზნით.

14. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად დასრულების მიზნით ლიკვიდატორი უფლებამოსილია, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, კომერციულ ბანკში არსებული ანგარიშები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ კომერციულ ბანკში აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებული რიგითობის დაურღვევლად, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, უცვლელად გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში ან/და ეროვნულ ბანკში.

15. ისეთი აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი

ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად, რომლის განკარგვის უფლებას იძენს ეროვნული ბანკი. თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკის ამოღებული აქტივი ფულადი სახსრებია, ისინი უნდა გადაირიცხოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ლიკვიდირებული ბანკების მოუკითხავი თანხების ანგარიშზე და განაწილდეს ლიკვიდატორის მიერ საბოლოოდ წარმოდგენილი ვალდებულებების დაზუსტებული რიგითობის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. არაფულადი სახის მატერიალური აქტივის ამოღების შემთხვევაში მისი განკარგვის მიზნით ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ამოღებული აქტივის განკარგვის წესი ლიკვიდირებული კომერციული ბანკის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად<sup>1</sup>.

გარდა ამ კანონებისა კომერციული ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №46/04 , „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 2. ლიკვიდაციის პროცესის თავისებურებები

1. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ ბანკის ლიკვიდატორმა უნდა აწარმოოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესით განსაზღვრული საქმიანობა.
2. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება ბანკის მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულება.
3. თუ ლიკვიდირებული ბანკი იყო საგადახლო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დაწყებამდე საგადახლო სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, საგადახლო

---

1 . საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (14.05.2019) მუხლი 37.

სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და საბოლოო

ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში (ანგარიშები) დაიხურება და ეროვნულ ბანკში გაიხსნება ახალი სალიკვიდაციო ანგარიში (როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის), რომელზეც გადაიტანება ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე (ანგარიშებზე) რიცხული ნაშთი და სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხული თანხა.

5. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და სარგებლის დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე და ამ თარიღისათვის დარიცხული გაუცემელი პროცენტები გადაიტანება შესაბამისი პირის ანგარიშზე.

6. ბანკში ერთი ფიზიკური პირის სახელზე სხვადასხვა საანაბრე ანგარიშებზე და/ან სხვადასხვა ხელშეკრულებით რიცხული მოთხოვნები შესაძლოა გაერთიანდეს და გადატანილ იქნეს შესაბამისი ფიზიკური პირის ანგარიშზე/ანგარიშებზე. ასევე, ერთი იურიდიული პირის სხვადასხვა ხელშეკრულებით რიცხული მოთხოვნები შესაძლოა გაერთიანდეს და გადატანილ იქნეს მის ანგარიშზე/ანგარიშებზე. პირის ანგარიშზე/ანგარიშებზე რიცხული ჯამური თანხა არის ამ პირის ერთი მოთხოვნა ბანკის მიმართ.

7. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა შეიძლება მხოლოდ ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად ვადადამდგარი მოთხოვნების მიმართ. თუ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად კრედიტორის მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილებულა, დარჩენილ ნაწილში ის დაკმაყოფილდება ამ ბრძანებით დადგენილი საერთო წესით.

8. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ფულადი



საშუალებებისა და მატერიალური აქტივების დაცვის მიზნით ლიკვიდატორი უფლებამოსილია დალუქოს და აღრიცხოს სალიკვიდაციო ბანკის დოკუმენტაცია, შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები.

9. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან იურიდიულ პირს (ბანკს) ეკრძალება ამ ლიცენზიით განსაზღვრული ყოველგვარი საქმიანობა. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან აღნიშნული იურიდიული პირი (ბანკი) ვალდებულია უმოკლეს ვადაში შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულება.

10. ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე იურიდიული პირი (ბანკი) ლიცენზირებული კომერციული ბანკის მსგავსად ემორჩილება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

11. თუ ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო უცხოური ბანკის ფილიალის მიმართ, საქართველოს ეროვნული ბანკი ამის თაობაზე შეტყობინებას უგზავნის სათავო ბანკსა და სათავო ბანკის ზედამხედველ ორგანოს.

12. თუ ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო ისეთი ბანკის მიმართ, რომელსაც ფილიალები ან/და შვილობილი საწარმოები აქვს საზღვარგარეთ, ეროვნული ბანკი შეტყობინებას უგზავნის იმ ქვეყნის ზედამხედველ ორგანოებს, სადაც მდებარეობს ფილიალი ან/და შვილობილი საწარმო.

13. ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშიდან, რომელიც პირველ რიგში დაკმაყოფილდება ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

14. ლიკვიდატორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის თანამშრომელია.

15. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდგომ შექმნილი ქონება შედის ბანკის აქტივებში და ექვემდებარება რეალიზაციას ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

### მუხლი 3. ლიკვიდატორის უფლებები

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისთანავე ბანკის ხელმძღვანელ ორგანოებს უწყდებათ უფლებამოსილება. ლიკვიდატორს ეკისრება ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრების) ყველა უფლებამოსილება. ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ლიკვიდატორი.

2. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის შემდგომ ბანკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დადებული გარიგებები ბათილია.

3. ლიკვიდატორი უფლებამოსილია წარმართოს ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმეები, დაამთავროს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, საჭიროების შემთხვევაში კი ჩაებას ახალ გარიგებებში.

4. ბანკის ლიკვიდატორს უფლება აქვს დანიშვნის დღიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე შეწყვიტოს:

- ა) გარიგება ბანკის თანამშრომლის დაქირავების შესახებ;
- ბ) კონტრაქტები იმ მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი მონაწილეობდა;
- გ) ბანკის ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჭარისა, თუ მიეჭარეს (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე,

რომ ბანკი აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს მისი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას;

დ) ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები და ისინი იმავე პირობებით გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში. მათი გადატანისათვის საჭირო არ არის საბანკო გარანტიის ბენეფიციარის და პრინციპალის თანხმობა. ლიკვიდატორი ვალდებულია ბენეფიციარს და პრინციპალს შეატყობინოს საბანკო გარანტიების სხვა ბანკში გადატანის შესახებ.

5. ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ბანკის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე 1 წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილად ცნობა, თუ ამის შედეგად ბანკთან დაკავშირებულმა პირმა ამ ბანკის ხარჯზე მიიღო ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლა რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.

6. ლიკვიდატორს ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით უფლება აქვს:

ა) ეროვნული ბანკის თანხმობით სალიკვიდაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების შესახებ გაათავონ შრომითი ხელშეკრულებები სხვადასხვა პირთან, ასევე, შესაბამის სამსახურებთან ბანკის საბუთების დადგენილი წესით აღრიცხვის, აკინძვისა და მათი საარქივო შენახვის უზრუნველსაყოფად;

ბ) გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს სალიკვიდაციო ბანკის შენახვას და სხვა კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

7. მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ლიკვიდატორს უფლება აქვს:

ა) გახსნას სალიკვიდაციო ანგარიშები სხვა ბანკში სხვადასხვა ვალუტით;

- ბ) დროებით არ დახუროს სხვა ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშები;
- გ) მიიღოს სესხი სხვა ბანკებისაგან;

დ) გადასცეს სხვა ბანკს სესხების ან სხვა საფინანსო აქტივების მოთხოვნის უფლება;

ე) ორგანიზაცია გაუწიოს სხვა ბანკისათვის ვალდებულებათა გადაცემას;

ვ) ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად დასრულების მიზნით ბანკში არსებული ანგარიშები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ბანკში აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებული რიგითობის დაურღვევლად უცვლელად გადაიტანოს სხვა ბანკში ან/და ეროვნულ ბანკში ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

8. ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია ბანკის აქტივები საჯარო (ელექტრონულ) აუქციონზე გაყიდოს ან ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით აირჩიოს მათი რეალიზაციის სხვა ფორმა, აგრეთვე აღნიშნულ აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით.

9. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი კრედიტორი ან/და მოვალე არ განაცხადებს თანხმობას ან უარს აქტივის ან ვალდებულების სხვა ბანკისათვის გადაცემაზე, თანხმობა ავტომატურად გაცემულად ჩაითვლება. კრედიტორის ან/და მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, თუ აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას არ იცვლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ბანკში აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ არსებული პირობები.

10. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადატანისას, ლიკვიდატორი მიმღებ ბანკს გადასცემს ამ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას. მიმღები ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს გადაცემული

ინფორმაციისა და დოკუმენტაციის აღრიცხვა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიმღები ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს ლიკვიდატორის მიერ დადგენილ პირობებს.

#### მუხლი 4. ლიკვიდატორის ვალდებულებები

1. ლიკვიდატორი მის მიერ განხორციელებული საქმიანობისათვის ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე.
2. ლიკვიდატორმა ბანკის სალიკვიდაციო საქმეები უნდა აწარმოოს კეთილსინდისიერად. მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ლიკვიდატორი პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბანკის დროებითი ან ყოფილი ადმინისტრატორები ვალდებულნი არიან, გადააბარონ ბანკის საქმეები ლიკვიდატორს ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში. ხოლო, ლიკვიდატორმა თავის მხრივ, მისი დანიშვნის დღიდან უნდა აღწეროს და გადაიბაროს ბანკის საქმეები ბანკის დროებითი ან ყოფილი ადმინისტრატორებისაგან ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ყოფილი ადმინისტრატორები თავს აარიდებენ ბანკის საქმეების გადმობარებას, ლიკვიდატორმა უნდა აღწეროს და შეადგინოს ბანკის საქმეთა ინვენტარიზაციის აქტი, რომელსაც ადასტურებს მის მიერ შექმნილი კომისია და ამავდროულად მიიღოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები აღნიშნულ ადმინისტრატორთა პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.
5. ლიკვიდატორი ვალდებულია დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ლიკვიდაციის დაწყებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ელექტრონულად მიაწოდოს სრული ინფორმაცია დაზღვეულ დეპოზიტორთა და მათი დეპოზიტების შესახებ.
6. ლიკვიდატორი ვალდებულია ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებიდან 10 კალენდარულ დღეში:
  - ა) დაუგზავნოს შეტყობინებები მოკორესპონდენტო ბანკებს, საბანკო ბარათებისა და ფულადი გზავნილებების ანგარიშსწორებათა მომსახურე ორგანიზაციებს, რათა

ლიკვიდატორის ნებართვის გარეშე არ მოხდეს საკორესპონდენტო ანგარიშებიდან ოპერაციების წარმოება და მოითხოვოს ბანკის მიერ ემიტირებული საბანკო ბარათების გაუქმება;

ბ) უზრუნველყოს ბანკის კუთვნილი ყველა ბანკომატის დალუქვა;

გ) გააკეთოს განაცხადები სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა ლიკვიდატორის გარეშე არ მოხდეს სალიკვიდაციო ბანკის კუთვნილი ქონების (უძრავი ქონება, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვ.) გასხვისება;

დ) დაუგზავნოს შეტყობინებები ბანკის ყოფილ ყველა ადმინისტრატორს ბანკისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭდისა და შტამპის 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჩაბარების მოთხოვნით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

7. ლიკვიდატორმა, მის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიასთან ერთად, უნდა გაანადგუროს ბანკისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭედი და შტამპი და შესაბამისი განადგურების აქტი წარმოადგინოს ეროვნულ ბანკში. ლიკვიდატორმა ამავდროულად უნდა უზრუნველყოს ლიკვიდატორის ბეჭდისა და შტამპის დამზადება.

8. ლიკვიდატორმა მოკორესპონდენტო ბანკებში უნდა წარადგინოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამოწმებული ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშები.

9. ლიკვიდატორმა უნდა უზრუნველყოს სხვა ბანკებში სალიკვიდაციო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხების გადარიცხვა ეროვნულ ბანკში არსებულ სალიკვიდაციო ანგარიშებზე და ასეთი საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვა.

10. ლიკვიდატორმა სალიკვიდაციო ბანკის სანცისი ბალანსის შედგენიდან ერთ თვეში უნდა გაუგზავნოს შეტყობინებები:

ა) ბანკის მსესხებლებსა და დებიტორებს და მოსთხოვოს ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში დაფარვა;

ბ) მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც განაგებს დაწესებულება. შეტყობინება აგრეთვე ეგზავნება იმ დეპოზიტარებს, რომელთა მოთხოვნები სრულად არ იქნა დაფარული დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. შეტყობინებაში აღინიშნება, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის წარდგენა – მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში, აგრეთვე ის, რომ კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება. ისეთ კრედიტორებს, რომელთა იურიდიული მისამართიც უცნობია, შეტყობინება ეცნობებათ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით. ანალოგიური შინაარსის განცხადება, საჭიროების შემთხვევაში, განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვის ინტერვალით.

11. ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით ლიკვიდატორი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება სწორი საბუღალტრო ჩანაწერების განხორციელებით;

ბ) ლიკვიდაციის პროცესის დაწყებიდან 30 დღის ვადაში შეადგინოს სალიკვიდაციო ბანკის საწყისი ბალანსი არსებული ყოველდღიური საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების ან სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე და წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;

გ) დანიშნვიდან ორ თვეში მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა ფუნქციის შეწყვეტისათვის, რომლებსაც ასრულებდა დაწესებულება, დაუბრუნოს დაწესებულების, როგორც რწმუნებული პირის, კუთვნილი ყველა აქტივი

და საკუთრება მათ მესაკუთრეს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

დ) დანიშნვიდან სამი თვის განმავლობაში განახორციელოს ბანკის ყველა აქტივისა და ვალდებულების ინვენტარიზაცია და აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში – მათი აუდიტორული შეფასება;

ე) დანიშნვიდან სამი თვის ვადაში ამ მუხლის მე-10 პუნქტის, მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით შეადგინოს ბანკის აქტივ-პასივების დაზუსტებული ნუსხა (ბალანსი);

ვ) უზრუნველყოს ბანკის მიმართ მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნის კანონიერების შემოწმება;

ზ) ბანკის აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, მიაღწიოს იმ მსესხებლებისა და სხვა დებიტორების დავალიანებების რესტრუქტურირზაციას (მათ შორის, პირგასამტეხლოების და ჯარიმების პატიებას), რომელთაც არა აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები დავალიანების სრულად და ლიკვიდატორის მიერ მოთხოვნილ ვადაში დროულად დასაფარავად;

თ) მსესხებელთა და სხვა დებიტორთა მხრიდან დავალიანების წერილობითი დასტურით ან რესტრუქტურირზაციით გათვალისწინებულ ვადებში დაუფარაობის შემთხვევაში განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება სასამართლოში სარჩელის შეტანის ჩათვლით;

ი) ბანკში ქონების მითვისების ან გაფლანგვის ფაქტების ან სხვა დანაშაულის ნიშნების გამოვლენისთანავე ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საქმეები გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი ზომების მიღების მოთხოვნით;კ) გაასაჩივროს ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება ან აქტი, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის ქონების დაყადაღების ან რეალიზაციის შესახებ, რომელიც შეიძლება არახელსაყრელი იყოს ბანკის მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;



ლ) წარუდგინოს ეროვნულ ბანკს სალიკვიდაციო ბანკის ანგარიშგება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმით არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;მ) დადგენილი პერიოდულობით ან მოთხოვნისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განუვლი საქმიანობის ანგარიში, ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;

ნ) ბანკის გადახდისუნარობის ან გაკოტრების ფაქტის გამოვლენისთანავე მოამზადოს მისი გადახდისუნარობის ან გაკოტრების დამადასტურებელი დასკვნა და შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;

ო) მიმართოს ეროვნულ ბანკს მოუკითხავი თანხების ანგარიშის გახსნის მოთხოვნით;

პ) თუ ბანკის სეიფებში შენახული ფასეულობები ლიკვიდატორის შეტყობინებაში მითითებულ ვადაში არ იქნა გამოთხოვილი, გახნას სეიფები და აღწეროს მასში შენახული ქონება, რაც უნდა დადასტურდეს კომისიის მიერ. ლიკვიდატორი ასეთ სეიფებში შენახული ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადებით მიმართავს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XL თავით დადგენილი წესით;

ჟ) ეროვნულ ბანკს გადასცეს მოუკითხავი ფულადი სახსრები, რომელიც ირიცხება ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე;

რ) განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა კუთვნილი ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მაქსიმალურად და დროულად დაკმაყოფილებას;

ს) მოეპყროს ბანკის კლიენტებს სამართლიანად და დაიცვას ეთიკის ნორმები;

ტ) ყოველ 6 თვეში უზრუნველყოს კრედიტორთა ინფორმირება ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნების გზით.

12. ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში ბანკის მეანაბრის მიერ კუთვნილ ფულად სახსრებზე მოთხოვნის წარუდგენლობისას ასეთი ფულადი სახსრები

გადაირიცხება ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე მესაკუთრის გამოვლენის მიზნით, გარდა იმ დეპოზიტებისა, რომლებიც არ აღემატება „დეპოზიტების დამზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრის თარგლებს. ეროვნულ ბანკში გადაირიცხება მხოლოდ ის სახსრები, რაც ლიკვიდაციაში მყოფ ბანკში განთავსებული იყო ეროვნულ ვალუტაში, ან ეროვნული ბანკის სარეზერვო ვალუტებში.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მოუკითხავი თანხების ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ ფულადი სახსრების კლიენტისათვის გადარიცხვის ხარჯებს გაიღებს კლიენტი. ლიკვიდაციის პროცესში ბანკის ლიკვიდატორის გათავისუფლების შემთხვევაში იგი ვალდებულია ახალ ლიკვიდატორს ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული აქტის საფუძველზე გადააბაროს სალიკვიდაციო ბანკის საქმეები.

ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირაოს მოგირავენეს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ეროვნული ბანკი, სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოეშვა ვალდებულება, გარდა სხვა ბანკების მიერ ლიკვიდაციის პერიოდში გაცემული სესხებისა. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა, დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობით;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დეპოზიტების დამზღვევის სააგენტო;

გ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;

- დ) იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;
- ე) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;
- ვ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- ზ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- თ) იურიდიული პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
- ი) იურიდიული პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- კ) სხვა ბანკების მიერ ლიკვიდაციის პერიოდში გაცემული სესხები;
- ლ) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირაფნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- მ) ბანკის მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები, გარდა ამ პუნქტის „ნ“-„უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ნ) ბანკის სასესხო ვალდებულება ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ, გარდა ამ პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ო) ბანკის ვადიანი სუბორდინირებული ვალი;
- პ) ბანკის უვადო სუბორდინირებული ვალი;

ჟ) ბანკის სხვა ვალდებულებები ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

პირობითი ვალდებულებები, რომელიც არსებობდა ლიკვიდაციის დაწყებამდე და რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშვა ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ, წარმოშობილად ითვლება ლიკვიდაციის პროცესის დაწყებამდე. სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნა წარმოშობილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა კრედიტორის მოთხოვნა დავის საგანზე, რაც ბანკის მიერ დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ. ლიკვიდატორი უფლებამოსილია დაიწყოს მომდევნო რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუ წინა რიგის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად არსებობს საკმარისი ფულადი სახსრები და ამით წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ზიანი არ ადგება.

ბანკში არსებული დეპოზიტების რაოდენობის ან ვალუტის მიუხედავად, დეპოზიტარები იღებენ დაზღვეულ დეპოზიტებს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსაგან „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრის ფარგლებში. დეპოზიტარის მოთხოვნა შემცირდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ გაცემული ანაზღაურების ოდენობით და შემდეგ კმაყოფილდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რიგითობით. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ გაცემული ანაზღაურების ოდენობა და შესაბამისი ხარჯები დაიფარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი რიგითობით.

მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ლიკვიდატორი ვალდებულია გადაამოწმოს პირი შეყვანილი ხომ არ არის ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში.

ლიკვიდატორი ვალდებულია მოთხოვნების დაკმაყოფილება უზრუნველყოს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობას.

ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება სალიკვიდაციო ბანკის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ბანკის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე.

ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად ითვლება, თუ:

- ა) სრულადაა დაფარული ბანკის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა;
- ბ) ბანკს ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ასეთი მოთხოვნების დასაფარავად და იგი ეროვნულმა ბანკმა გამოაცხადა გაკოტრებულად.

ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ლიკვიდატორი ადგენს ბანკის სალიკვიდაციო აქტს, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ ბანკის ლიკვიდაციის დანყების შემდეგ რეალიზებული ყველა აქტივის შესახებ მათი რეალიზაციის საბოლოო ფასის ჩვენებით;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბანკის ყველა არარეალიზებული აქტივის შეფასებას, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ ამ აქტივის საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;

გ) ბანკის მიმართ დავალიანების მქონე იურიდიული თუ ფიზიკური პირის გაკოტრების დამადასტურებელ სასამართლო გადაწყვეტილებებს;

დ) ინფორმაციას ბანკის მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის შესახებ;

ე) ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ყველა სხვა ღონისძიების შესახებ.

ბანკის ლიკვიდატორი მისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ ბანკის სალიკვიდაციო აქტს, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგენს ეროვნულ ბანკს.

ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ. ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ბანკის ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და მისი სამენარმეო რეესტრიდან ამოღების მიზნით.

იმ შემთხვევებში, თუ ლიკვიდაციის დასრულებისას, ბანკს სრულად აქვს დათარული ვალდებულებები და დარჩა აქტივები, ლიკვიდატორი ამ აქტივებს გადასცემს ბანკის აქციონერებს მათთან შეთანხმებით და სათანადოდ გაფორმებული გადაცემის აქტით. გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ ეროვნული ბანკის თანხმობით, შეიძლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა ბანკმა შეიცვალოს საქმიანობის საგანი და გარდაიქმნას არასაბანკო საქმიანობის საზოგადოებად. საქმიანობის საგნის შეცვლა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ბანკის ვალდებულებების გასტუმრებას, ან თუ ვალდებულებები გასტუმრებულია, იგი უნდა ემსახუროდეს აქციონერთა ინტერესების დაცვას, რისთვისაც საჭიროა ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის მიერ საქმიანობის საგნის შეცვლის შემთხვევაში წყდება ამ ბანკის ლიკვიდაციის პროცესი და იგი აღარ ექვემდებარება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.

ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:

- ა) ნებისმიერ დროს შეამოწმოს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკი;
- ბ) შეამოწმოს ლიკვიდატორის საქმიანობა;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი და მის ნაცვლად დანიშნოს სხვა პირი;

დ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ბანკის ლიკვიდაციის პროცესის მსვლელობის შესახებ;

ე) მოითხოვოს ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების შეჩერება ან გაუქმება, თუ იგი ეწინააღმდეგება მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების მოთხოვნებთან დაკავშირებულ ინტერესებს.

ეროვნული ბანკი ლიკვიდატორის მიერ ჩადენილი დარღვევების შემთხვევაში მიმართავს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს, მათ შორის, ჩადენილი დარღვევის სერიოზულობის გათვალისწინებით, საქმეს გადასცემს სამართალდამცავ ორგანოებს<sup>1</sup>.

---

1 . „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №46/04 ბრძანება, 2018 წლის 16 მარტი, ქ. თბილისი.

## დასკვნა (კვლევის შედეგი)

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს, კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის, კომერციული ბანკების დაფუძნების ,

რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სამართლებრივი რეგულირების განხილვას, ანალიზსა და კვლევას.

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების შესწავლა ბანკების როლის გაძლიერებას უწყობს ხელს . საბანკო საქმიანობა გულისხმობს საბანკო ინსტიტუტთა ერთობლივ მუშაობას, ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ტემპების ზრდა, მისი განვითარების მიმართულებებისა და ეფექტურობის განსაზღვრა. სახელმწიფოს მიერ საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეფორმების თანმიმდევრული განხორციელებას, იურიდიულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მაშინ როდესაც დიდი ბაზრის მქონე ქვეყნები ცდილობენ თავისი კანონმდებლობა დაუახლოვონ საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს და მაქსიმალურად განავითარონ, ვერც საქართველო დარჩება ამ პროცესების მიღმა. მან ფეხი უნდა აუწყოს საკუთარი კანონმდებლობის სრულყოფის პროცესს და დანერგოს სამართლის ის ნორმები, რაც ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში საბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მისი ფორმირება მიუხედავად იმ დროს არსებული მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარებისა, სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან შედარებით, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა და განვითარდა.

კომერციული ბანკები ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მომავალში მათი როლი უფრო და უფრო გაიზრდება ეკონომიკისა და ფინანსური თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ ფინანსური რესურსების მართვის ძირითად ინსტიტუტს, რის გამოც საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი როლი უკავიათ, სწორედ ამიტომ მათი საქმიანობის რეგულირება უმნიშვნელოვანესი საკითხია, მათ მთავარ ზედამხედველ ორგანოს კი ეროვნული ბანკი წარმოადგენს, რომელიც არეგულირებს მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ



სამართლებრივ საკითხს და მათ მთავარ „სადამსჯელო“ ძალადაც გვევლინება, ასრულებს როგორც ლიბენზიის გამცემის ასევე მისი „ჩამომრთმევის“ მოვალეობას.

იკვეთება რამოდენიმე პრობლემური საკითხი კომერციული ბანკის რეორგანიზაციისა და ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით. კომერციული ბანკის რეორგანიზაციის მნიშვნელობა და მისი განხორციელების საშუალებები სათანადოდ და სრულყოფილად არ გვაქვს კანონში აღწერილი და განმარტებული სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ კომერციული ბანკიც, როგორც სხვა ნებისმიერი სამეწარმეო იურიდიული პირი ექვემდებარება „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ მოქმედების სფეროს და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები ამ კანონის გვერდის ავლით ვერ მოხერხდება.

კომერციული ბანკების ლიცენზირებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საჭიროა დაიხვეწოს კანონმდებლობა, ლიკვიდაციამდე, იძულებითი მართვის პროცედურებთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა მკირე და არასათანადო მოცულობისაა. ის არ იძლევა სრულყოფილ განმარტებებს რაც საშუალებას მიცემს დროებით ადმინისტრატორს გადააჭარბოს საკუთას უფლებამოსილებას, სწორედ ამიტომ საჭიროა ზუსტად და კონკრეტულად განისაზღვროს ადმინისტრატორის მოვალეობები და უფლებამოსილება, რომ არ მოხდეს თვითნებურად კანონის გვერდის ავლა.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ : ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან, სრულყოფს საქართველოს კანონმდებლობას, მის ნორმებს გასაგებს და მისაღებს გახდის როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიგნით. არის საკითხები, რომლებიც კანონმდებლობით სრულად არ არის მოწესრიგებული, მაგალითად ასეთად შესაძლოა ჩაითვალოს, კომერციული ბანკის რეორგანიზაციის ცნება, მისი არსი და რეალური საჭიროება, აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ კომერციული ბანკი როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ იყოს ძლიერი, საჭიროა მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დეტალური დახვეწა და ყველა

წერილმანის განხილვა და ანალიზი, რადგან სწორედ წერილმანებით შედგება დახვეწილი და ძლიერი ინსტიტუტები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012წ.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, ელექტრონული ვერსია, თბილისი, 2014 წ.
3. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე , ელექტრონული ვერსია, თბილისი, 2009 წ.
4. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014წ.
5. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე, გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2014 წ.
6. „ალმანახი“ . სტატია: ცოფურაშვილი მ. კომერციული ბანკი - ფუნქციები და მნიშვნელობა.თბილისი, 1999.წ ,
7. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 14.05.2019 წლის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge>
8. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ , კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 14.05.2019 წლის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge>
9. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №46/04 ბრძანება, 2018 წლის 16 მარტი, ქ. თბილისი.
10. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №230/04 2018 წლის 19 ოქტომბერი, ქ.თბილისი.
11. „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე„ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №52/04 2014 წლის 17 ივნისი, ქ.თბილისი.

12. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 14.05.2019. <https://matsne.gov.ge>
13. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი. <https://www.nbg.gov.ge>